

<p>.....2026</p> <p>Tbilisi</p>	<p>.....2026</p> <p>თბილისი</p>
<p>On the one hand, Goethe-Institut Filiale Georgien, IN: 404599939, within the project Creative Compass Contribution Agreement: NDICI-NEAR-GEO/2023/443-463</p> <p>Address: Georgia, Tbilisi, Mtatsminda district, M. Zandukeli St. 16, represented by Institute Director Ms. Laura Alma Hartz (hereafter referred to as „contracting authority“)</p>	<p>ერთი მხრივ, გოეთეს ინსტიტუტის ფილიალი საქართველოში, მიერ, ს/კ 404599939, პროექტი შემოქმედებითი კომპასი საქართველოს ფარგლებში „საგრანტო ხელშეკრულება: NDICI-NEAR-GEO/2023/443-463 მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, მ. ზანდუკელის ქ.16, წარმოდგენილი ინსტიტუტის დირექტორის ქ-ნი ლაურა ალმა ჰარტცის სახით (შემდგომში – შემკვეთი)</p>
And	და
<p>On the other hand, Individual entrepreneur - ..., P/N ..., registered in ..., address: and (hereafter referred to as „contractor“)</p>	<p>მეორე მხრივ, ინდ.მეწარმე ... პ.ნ. ..., რეგისტრირებული ქ. ..., მისამართი: ... ქუჩა N, (შემდგომში – შემსრულებელი),</p>
<p>Submit to this Service Agreement (hereafter referred to as „Agreement“):</p>	<p>დებენ წინამდებარე მომსახურების ხელ-შეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება):</p>
<p>§1 Subject of the Agreement</p>	<p>§1 ხელშეკრულების საგანი</p>
<p>1. The content and scope of the services are defined in Annex 1 which constitutes a comprehensive list of services to be provided by the contractor. It is attached to this agreement as Annex 1.</p>	<p>1. მომსახურების შინაარსი და მოცულობა განსაზღვრულია დანართი 1-ში, რომელიც წარმოადგენს შემსრულებელის მიერ გასაწევი მომსახურებების სრულ ჩამონათვალს. იგი ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას დანართი 1-ის სახით.</p>
<p>§2 Conditions of delivery</p>	<p>§2 სერვისის მიწოდების პირობები</p>
<p>1. The contractor provides services personally. Subcontracting of any services (partially or in full) is only allowed if Annex 1 specifies it. The contractor must seek an advance written consent of the contracting authority to outsource services to a third party.</p>	<p>1. შემსრულებელი ვალდებულია თავად გაწიოს მომსახურება. ქვეხელშეკრულება (ნაწილობრივ ან სრულად) დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას ითვალისწინებს დანართი 1. შემსრულებელმა უნდა მიიღოს წინასწარი წერილობითი თანხმობა შემკვეთისგან, რათა შეძლონ მომსახურების გადაკისრება მესამე პირებზე.</p>
<p>2. The contractor fulfills work within the timespan defined during the service order process specified in Annex 1..</p>	<p>2. შემსრულებელი ვალდებულია შეასრულოს მომსახურება დანართი 1-განყოფილება დოკუმენტაციაში გათვალისწინებულ ვადებში.</p>

3. The contractor corrects all possible mistakes in the delivery of services as indicated by the contracting authority. The details will be commonly agreed upon by both parties and documented in written.	3. შემსრულებელი ვალდებულია გამოსწოროს ყველა შესაძლო შეცდომა მომსახურების მიწოდებისას, შემკვეთის მითითებისამებრ. დეტალები იქნება შეთანხმებული და დოკუმენტირებული წერილობითი ფორმით, ორივე მხარის მიერ.
4. If the contractor is unable to perform/complete all tasks (as outlined in Annex 1) within the agreed timeline, the contractor immediately informs the contracting authority in writing. Such communication must include an indication of the changed timeline and/or if the contractor will be able to finalise the agreed upon services.	4. იმ შემთხვევაში თუ შემსრულებელი ვერ ასრულებს/ამთავრებს ნაკისრ ვალდებულებებს (დანართი 1-ის მიხედვით), შემსრულებელი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შემკვეთს წერილობითი ფორმით. წერილი უნდა შეიცავდეს მითითებას შეცვლილი ვადების შესახებ და/ან შეძლებს თუ არა შემსრულებელი შეთანხმებული მომსახურების დასრულებას.
5. The contracting authority does not provides any working equipment unless otherwise stated in Annex 1.	5. შემკვეთი არ არის ვალდებული გამოუყოს შემსრულებელს ტექნიკური აღჭურვილობა თუ სხვა რამ არ არის მითითებული დანართ 1-ში.
6. This agreement does not constitute an employment contract between any of the contractor and the contracting authority.	6. ეს შეთანხმება არ წარმოადგენს შრომით ხელშეკრულებას შემსრულებლებსა და შემკვეთს შორის.
§3 Fee/honorarium	§3 ანაზღაურება / ჰონორარი
1. The cost of services according to this agreement are defined in Annex 1.	1. მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრულია დანართ 1-ში.
2. Any payment under this agreement will be made to the bank account of the contractor in GEL. The contractor needs to be the account holder.	2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე, ლარში. შემსრულებელი უნდა იყოს შესაბამისი საბანკო ანგარიშის მფლობელები.
3. An invoice will be sent at the end of process as defiend in Annex 1.	3. ინვოისის გამოგზავნა შესაძლებელია პროცესის დასრულებისას როგორც ეს მითითებულია დანართ 1-ში
4. The complete bank details of the contractor: Individual Entrepreneur: ... Bank: TBC Bank A/N: ... Swift: TBCBGE22 The bank details must be indicated on each invoice. Only one account can be listed on an invoice. If the account details change during the duration of this agreement, the contractor will inform the contracting authority in writing in advance of the next invoice.	4. შემსრულებლის სრული საბანკო რეკვიზიტებია: ინდემწარმე : ი.მ ... მომსახურე ბანკი: თიბისი ბანკი ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა: ... საბანკო რეკვიზიტები აუცილებელია წარმოდგენილი იყოს ყველა ინვოისში. საბანკო რეკვიზიტების ცვლილების შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია წარმოადგინოს ახალი საბანკო რეკვიზიტები წერილობით, შემდგომი ინვოისის წარმოდგენამდე.
§4 Delay in performance of work	§4 ავადმყოფობა, სამუშაოს/მომსახურების გაწევის შეფერხება
1. In case the contractor fail (or: is unable) to fulfill all services/tasks outlined in Annex 1 due to unforeseen circumstances not caused by the	1. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი ვერ შეასრულებს (ან მისთვის შეუძლებელი იქნება) დანართი 1-ით განსაზღვრულ მოვალეობებს, ისეთი მიზეზით,

contracting authority, the contractor must inform the contracting authority immediately.	რომელიც შემკვეთის ბრალეულობით არ არის გამოწვეული, ის ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შემკვეთს.
2. In cases of delay, both parties shall consult on alternative options to deliver the services outlined in Annex 1. An alternative option must be agreed upon in written form. If an alternative cannot be found, the contracting authority can terminate the order.	2. მომსახურების დაგვიანების შემთხვევაში, ორივე მხარემ უნდა აწარმოოს მოლაპარაკება ალტერნატიულ ვარიანტებზე დანართ 1-ში ასახული მომსახურების მიწოდებისთვის. ალტერნატიული ვარიანტი უნდა შეთანხმდეს წერილობით. თუ ალტერნატივა ვერ მოიძებნა, შემკვეთს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება.
3. If the services outlined in Annex 1 can only be partially delivered and/or not at all, payment is reduced accordingly.	3. თუ დანართ 1-ში ასახული მომსახურების მიწოდება შესაძლებელია მხოლოდ ნაწილობრივ და/ან საერთოდ არ არის შესაძლებელი, ანაზღაურება შესაბამისად მცირდება.
§5 Competitive activity	§5 კონკურენტული საქმიანობა
1. The contractor is allowed to commit to other contracts if these do not constitute an immediate conflict of interest to this agreement and/or limits the contractor' ability to perform the services as agreed upon.	1. შემსრულებელს უფლება აქვს შეასრულოს სხვა ხელშეკრულებები, თუ ეს პირდაპირ არ წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევას ამ ხელშეკრულების მიმართ ან/და არ შეზღუდავს შემსრულებლის შესაძლებლობას სათანადოდ შეასრულოს შეთანხმებული მომსახურება.
§6 Duration and termination of this Agreement	§6 ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა
1. This contract shall enter into force upon signing the contract by both parties and is valid for 12 months.	1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულებაზე ორმხრივად ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 12 თვის განმავლობაში.
2. Both parties are entitled to terminate this agreement unilaterally by observing a termination period of one month.	2. თითოეულ მხარეს აქვს ამ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის უფლება ერთ თვიანი გაფრთხილების ვადის დაცვის შემთხვევაში.
3. Early termination of the agreement requires the written form.	3. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა საჭიროებს წერილობით ფორმას.
4. In the case of a premature termination of this agreement, the contractor will be compensated for the work already conducted - as outlined in Annex 1 and by providing a timesheet (if applicable). The contractor will submit any (finished or unfinished) product created under this agreement to the contracting authority.	4. ამ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, შემსრულებელს აუნაზღაურდება უკვე შესრულებული სამუშაოს ღირებულება, დანართ 1-ით განსაზღვრული პუნქტების მიხედვით, დროის აღრიცხვის ცხრილის შესაბამისად (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემსრულებელი შემკვეთს წარუდგენს ამ ხელშეკრულების ფარგლებში შექმნილ ნებისმიერ (დასრულებულ ან დაუსრულებელ) ნამუშევარს.
5. The contracting authority can terminate this agreement with immediate effect if the contractor breaches the obligations of this agreement. Should the breach lead to any damages for the contracting authority, the contractor will pay those damages.	5. შემკვეთს შეუძლია წინამდებარე ხელშეკრულების დაუყოვნებლივ შეწყვეტა, თუკი შემსრულებელი დარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. თუკი ხელშეკრულების დარღვევა გამოწვევს რაიმე ტიპის ზარალს შემკვეთისთვის, შემსრულებელი აანაზღაურებს აღნიშნულ ზარალს.
6. The parties shall be released from liability if it is caused by force majeure established for reasons	6. მხარეები გათავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან, თუ ეს გამოიწვია მათ კონტროლს მიღმა არსებულმა

<p>beyond their control. A pandemic will be considered as such if the default for this reason is confirmed. In case of force majeure, any one of the parties is obliged to notify the other one within one calendar day in writing and / or electronically of the occurrence of such a situation. Immediately, after the elimination of force majeure, both parties shall continue to fulfill their obligations under the conditions set forth in this agreement. The parties have the right to agree on additional terms of the agreement in the presence of force majeure.</p>	<p>ფორს-მაჟორმა. პანდემია ჩაითვლება მსგავს შემთხვევად, თუკი ამ მიზეზით ვალდებულების შეუსრულებლობა დადასტურდება. ფორსმაჟორის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია ერთი კალენდარული დღის განმავლობაში წერილობით ან/და ელექტრონულად აცნობოს მეორე მხარეს მსგავსი გარემოების დადგომის შესახებ. ფორსმაჟორის აღმოფხვრის შემდეგ, დაუყოვნებლივ, მხარეთა ვალდებულებები განაგრძობს მოქმედებას წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. მხარეებს უფლება აქვთ შეთანხმდნენ ხელშეკრულების დამატებით პირობებზე ფორსმაჟორის არსებობისას.</p>
<p>7. The contracting authority can immediately terminate this Agreement if, based on legislation/regulation/rule adopted by the State, the contractor authority becomes obliged to terminate the activity outlined under the Annex and/or the contractor authority's entire organizational activities. The contractor authority can also immediately terminate the Agreement if the legislation/regulation/rule adopted by the State does not directly oblige to terminate the activity outlined under the Annex and/or the contractor authority's entire organizational activity, but, continuing the activities becomes dangerous or poses legal risks for the contractor authority or for the contractor, or it becomes practically impossible to continue the activity outlined under the Annex and/or the contractor authority's entire organizational activity due to the legislation/regulations/rules in force. In case of early termination of the Agreement on the grounds provided under this clause, the contractor will be compensated for the work already conducted - as outlined in Annex 1 and by providing a timesheet (if applicable).</p>	<p>7. შემკვეთს შეუძლია წინამდებარე ხელშეკრულების დაუყოვნებლივ შეწყვეტა, თუ სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონმდებლობის/რეგულაციის/წესის საფუძველზე, შემკვეთი ვალდებული გახდება შეწყვიტოს დანართით გათვალისწინებული საქმიანობა ან/და მთლიანი ორგანიზაციული საქმიანობა. შემკვეთს ასევე შეუძლია ხელშეკრულების დაუყოვნებლივ შეწყვეტა იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოში მიღებული კანონმდებლობა/რეგულაცია/წესი პირდაპირ არ ავალდებულებს შემკვეთს დანართით გათვალისწინებული საქმიანობის ან/და მთლიანი საქმიანობის შეწყვეტას, თუმცა საქმიანობის გაგრძელება ქვეყანაში არსებული კანონმდებლობიდან/რეგულაციებიდან/წესებიდან გამომდინარე, შემკვეთისთვის ან შემსრულებლისთვის სახიფათო გახდა, ან წარმოშობს სამართლებრივ რისკებს, ან პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა დანართით გათვალისწინებული საქმიანობის, ან/და შემკვეთის ორგანიზაციული საქმიანობის გაგრძელება. ამ პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, შემსრულებელს აუნაზღაურდება უკვე შესრულებული სამუშაოს ღირებულება, დანართ 1-ით განსაზღვრული პუნქტების მიხედვით, დროის აღრიცხვის ცხრილის შესაბამისად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).</p>
<p align="center">§7 Disputes</p>	<p align="center">§7 დავები</p>
<p>1. Disputes arising between the parties under this agreement shall be settled by mutual agreement.</p>	<p>1. მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით.</p>
<p>2. In case of failure to reach an agreement between the parties, the dispute will be resolved in permanent arbitration: at the Dispute Resolution Center (DRC, identification number is: 204547348 Address: Tbilisi, Vazha-Pshavela Av.71, 4th Block, 2nd Floor, website: www.drc-ge.org).</p>	<p>2. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მუდმივმოქმედ არბიტრაჟში: „დავების განმხილველ ცენტრში“ (DRC, რომლის საიდენტიფიკაციო კოდია: 204547348, მის.: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 71, მე-4 ბლოკი, მე-2</p>

<p>arbitration.ge) The parties agree to review the case without an oral hearing. The arbitral tribunal shall be composed of one arbitrator. The parties agree that the named arbitral decision on the measure of securing the claim is subject to enforcement without the need of notification by the court. The law applicable by the parties, including contractual relationship and considering arbitration is the current legislation of Georgia.</p>	<p>სართული, ვებგვერდი: www.drc-arbitration.ge). მხარეები თანხმდებიან საქმის განხილვაზე ზეპირი მოსმენის გარეშე. არბიტრაჟი დაკომპლექტდება ერთი არბიტრით. მხარეები თანხმდებიან, რომ დასახელებული არბიტრაჟის გადაწყვეტილება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაზე ექვემდებარება აღსრულებას სასამართლოს მიერ ცნობის საჭიროების გარეშე. მხარეთა მიერ გამოსაყენებელი სამართალი, მათ შორის, სახელშეკრულებო ურთიერთობისას და არბიტრაჟის განხილვისას არის – საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა.</p>
<p align="center">§8 Copyrights and rights of usage</p>	<p align="center">§8 საავტორო უფლებები და გამოყენების პირობები</p>
<p>1. As far as the contractor creates works protected by copyright during their deployment their relinquish their right to be named and grant indefinite license to the contracting authority as regards the place, time, and content for all common types of use and according to the purpose of this contract. This especially applies to print publication, publication in physical digital media and in digital online media (esp. Internet including social media like Facebook, YouTube etc.). The granting of this license is completely settled with the payment of fees according to § 3. The contracting authority is entitled to grant an equivalent license to third parties.</p>	<p>1. იმ შემთხვევაში, როდესაც, შემსრულებელი, მისი დაქირავების პერიოდში, ქმნის საავტორო უფლებით დაცულ სამუშაოს, ის თმობს ნამუშევართან დაკავშირებით მისი მოხსენიების უფლებას და შემკვეთს ანიჭებენ განუსაზღვრელ უფლებას ნამუშევრის გამოყენების ადგილთან, დროსთან, შინაარსთან და სხვა გავრცელებულ ფორმებთან დაკავშირებით, ამ ხელშეკრულების მიზნებთან შესაბამისობით. ეს განსაკუთრებით ეხება ბეჭდურ გამოცემებს, გამოცემებს ფიზიკურ ციფრულ მედიებსა და ციფრულ ონლაინ მედიებში (განსაკუთრებით ინტერნეტს, სოციალური მედიის, მაგ. ფეისბუქი, იუთუბი და სხვ. ჩათვლით). უფლების გადაცემა სრულად ანაზღაურდება § 3 პარაგრაფით გათვალისწინებული გადახდებით. შემკვეთს უფლება აქვს მსგავსი უფლება მიანიჭოს მესამე პირებს.</p>
<p align="center">§9 Liability Exemption</p>	<p align="center">§9 პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება</p>
<p>1. The contracting authority will not be held liable for accidents of any kind to the contractor and/or any third or other appointed parties.</p>	<p>1. შემკვეთი არ იქნება პასუხისმგებელი შემსრულებლის ან/და ნებისმიერი მესამე ან სხვა დანიშნული მხარის წინაშე რაიმე სახის უბედური შემთხვევისთვის.</p>
<p>2. Both parties declare that they are entitled to sign legally binding contracts.</p>	<p>2. ორივე მხარე აცხადებს, რომ მათ უფლება აქვთ ხელი მოაწერონ იურიდიულად სავალდებულო ხელშეკრულებებს.</p>
<p>3. Both parties agree not to disclose the contents of this contract to any third parties.</p>	<p>3. ორივე მხარე თანხმდება, არ გაამჟღავნოს ამ ხელშეკრულების შინაარსი მესამე პირებთან.</p>
<p>4. The contractor agrees to not disclose any of the following to third parties without the explicit written consent by the contracting authority:</p> <ul style="list-style-type: none"> - any of the communication (virtual, oral, and/or written), - details about the project's consortium and/or the organizations and their representatives involved, - Related project document and/or any of its drafts (e.g. full application, concept note, 	<p>4. შემსრულებელი თანახმაა, არ გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია შემკვეთის წერილობითი თანხმობის გარეშე:</p> <ul style="list-style-type: none"> - ნებისმიერი კომუნიკაცია (ვირტუალური, ზეპირი და/ან წერილობითი); - პროექტის კონსორციუმის ან/და ორგანიზაციებისა და მათი წარმომადგენლების შესახებ დეტალები; - დაკავშირებული საპროექტო დოკუმენტი ან/და მისი რომელიმე პროექტი (მაგ. სრული განაცხადი,

budget, logical framework, action plan and/or other preparatory internal documents).	კონცეფციის შენიშვნა, ბიუჯეტი, ლოგიკური ჩარჩო, სამოქმედო გეგმა და/ან სხვა მოსამზადებელი შიდა დოკუმენტები).
§10 Miscellaneous	§10 სხვადასხვა
1. Changes and additions to this agreement may be made with the consent of both parties. All changes and additions require a written form.	1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ორივე მხარის თანხმობით შეიძლება შეტანილი იქნეს ცვლილებები და დამატებები. ყველა ცვლილება და დამატება საჭიროებს წერილობით ფორმას.
2. Annex 1 is an integral / essential part of this agreement.	2. დანართი 1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ/არსებით ნაწილს.
3. Issues that are not regulated by this agreement, shall be regulated by the legislation of Georgia.	3. საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით, წესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
4. The parties can communicate via e-mail. To the following e-mail addresses: The contracting authority: creativecompass@goethe.de ; johannes.backhaus@goethe.de . The contractor: ... A written notice by e-mail will be deemed to have been received one (1) day after the party has sent it if there is no notice of absent.	4. მხარეთა კომუნიკაცია შესაძლებელია ელ. ფოსტის შემდეგ მისამართებზე: შემკვეთი: creativecompass@goethe.de ; johannes.backhaus@goethe.de . შემსრულებელი: ... ელ. ფოსტის საშუალებით წერილობითი შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება გაგზავნიდან ერთი (1) დღის შემდეგ, თუკი მას პასუხად არ მოჰყვა შეტყობინება არყოფნის შესახებ.
5. Should one or more condition(s) of this contract be considered invalid, the contract will still be legally binding. The invalid condition will be replaced by a clause which comes closest to the original intended interest. The parties are obliged to contribute to a respective clarification of the wording of the contract. This also applies to omissions.	5. თუ ამ ხელშეკრულების ერთი, ან მეტი პირობა(ები) ჩაითვლება ბათილად, ხელშეკრულება კვლავ იურიდიულად სავალდებულო იქნება. ამ შემთხვევაში, ბათილი პირობა შეიცვლება ისეთი ახალი პირობით, რომლის შინაარსიც ყველაზე კარგად აღწერს თავდაპირველ განზრახვას. მხარეები ვალდებული არიან წვლილი შეიტანონ ხელშეკრულების ფორმულირების დაზუსტებაში. ეს წესი ვრცელდება ხელშეკრულებიდან რაიმეს ამოშლის შემთხვევაშიც.
6. The present agreement is drawn up in duplicate, in Georgian and English, which have the equal legal force. In case of any discrepancy between the texts of the agreement priority is given to the Georgian version.	6. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომელთაც თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ხელშეკრულების ტექსტებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულების ქართულ ვარიანტს.
7. This contract is subject to Georgian law. The place of jurisdiction is Tbilisi, Georgia.	7. ეს ხელშეკრულება რეგულირდება ქართული კანონმდებლობის მიხედვით. იურისდიქციის ადგილია თბილისი, საქართველო.

Signatures of the parties / მხარეთა ხელმოწერები

Contracting authority / შემკვეთი

Contractor / შემსრულებელი

ლაურა ალმა ჰარტცი
დირექტორი

Laura Alma Hartz
Director

...

...

Goethe-Institut Filiale Georgien
გოეთე ინსტიტუტის ფილიალი საქართველოში

Annex 1 / დანართი 1

-

**Scope of Services and Delivery / Payment Process / მომსახურების აღწერა და მიწოდების /
გადახდის პროცესი**

1. Scope of Services / მომსახურების მოცულობა

2. Service Delivery Process / მომსახურების მიწოდების პროცესი

3. Payment Process / გადახდის პროცესი

The agreed fee for the Services is 100 (one hundred) GEL (including taxes) per hour.

მომსახურების შეთანხმებული ანაზღაურება შეადგენს 100 (ასი) ლარს (გადასახადების ჩათვლით) საათში.

The Creative Compass Georgia Project is exempt from VAT. Accordingly, the Contractor shall issue invoices without VAT.

შემოქმედებითი კომპასი საქართველო პროექტი გათავისუფლებულია დღგ-ისგან. შესაბამისად, შემსრულებელი ვალდებულია გასცეს ინვოისი დღგ-ის გარეშე.